ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი N2

სხდომის ჩატარების დრო:

15 აპრილი, 2022 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:

რუსთაველის გამზირი N3.
ადგილობრივი თვითმმართველობის
შენობაში არსებული სხდომათა დარბაზი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე მეორე სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია.

ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ბატონი გ.ბასილაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები, ბატონები: თ.ნადირაძე და ტ.ლილუაშვილი, საკრებულოს წევრები: დ.მხეიძე, მ.ჩიხლაძე, ბ.მახარაძე, მ.ნიჟარაძე, მ.ჭოხონელიძე, მ.სიმონიძე, ბ.ხამაშურიძე, ბ.ქებულაძე, თ.ჯუღელი, ზ.მამასახლისი, მ.რიჟამაძე, ა.კოპალეიშვილი, მ.კოსტავა, გრ.შუშანია, ხ.არველაძე, ქ.ხურციძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, ე.არჩაია.

სულ: 35 წევრიდან 23 წევრი

არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ლ.სანიკიძე, კ.გურული, გ.კილაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ბ.ბრეგაძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი.

სულ: 12 წევრი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი ი.ხახალეიშვილი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები, ბატონები: ი.უგულავა, დ.ერემეიშვილი და ი.ქარქაშაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამდივნო განყოფილების უფროსი, ქალბატონი ც.პატარიძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ადმინისტრაციული განყოფილების უფროსი, ქალბატონი ნ.კაკაბაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - იურიდიული განყოფილების უფროსი, ქალბატონი მ.სვინტრაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი, ქალბატონი თ.მელქაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი, ბატონი პ.ადამაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი ვ.სილაგაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი კ.კუხიანიძე, მერიის სამსახურებისა და საკრებულოს აპარატის სხვა პასუხისმგებელი მუშაკები, საინფორმაციო საშუალებათა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

საკრებულოს რიგგარეშე მე-2 სხდომის ოფიციალურად გახსნამდე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ, ბატონმა **გრ.შუშანიამ** პრეტენზია გამოთქვა ქალაქის მერის მისამართით, მასთან ინტერვიუს ასაღებად მოსული ჟურნალისტების ადგილობრივი თვითმმართველობის შენობაში შემოსვლაზე პრობლემის შექმნასთან დაკავშირებით:

„ბატონო სოსო, დაცვამ გამოგვიცხადა, რომ თქვენი დავალებით, მე ვიღაცეებს უნდა დავეკითხო, ვის მივცემ ჩემს ოთახში ინტერვიუს. ეს არის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებაში ხელის შეშლა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **ი.ხახალეიშვილი:** „ეს არის ტყუილი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ბატონი **გ.შუშანია:** „რა ტყუილი? თქვენს დაცვას ჰკითხეთ. მადლობა ბატონ ირაკლის, ის რომ არ ჩარეულიყო, ეს ადამიანები ვერ შემოვიდოდნენ ამ შენობაში.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „გთხოვთ, პიარ სამსახურს, შესაბამისი დაშვების წესით, რომელიც მოქმედებს ადმინისტრაციულ შენობაში, უზრუნველყოთ ცენტრალური არხის ჟურნალისტების შემოსვლა. საკრებულოს სხდომა ღია და გახსნილია ნებისმიერი ადამიანისთვის.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ბატონი **გ.შუშანია:** „არ მგონია, მედიის, არასასურველი მედიის გარეშე ნორმალური იყოს სხდომის ჩატარება და ნუ გეშინიათ აუდიტის დასკვნის კიდევ.“

ამის შემდეგ, საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ, ბატონმა გრ.შუშანიამ და ამ ფრაქციის წევრებმა: ხ.არველაძემ, ქ.ხურციძემ, ნ.ბიბილეიშვილმა და დ.ბახტაძემ სხდომათა დარბაზი დატოვეს.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე მე-2 სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

საკრებულოს რიგგარეშე მე-2 სხდომის დღის წესრიგის პროექტის წარმოდგენამდე, **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, ბატონმა იოსებ ხახალეიშვილმა გააკეთეს განცხადებები:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „მინდა ჩემი და ჩვენი პოლოტიკური გუნდის პატივისცემა დავაფიქსირო ჩვენი მედიის მიმართ. დემოკრატიულ სახელმწიფოში და იმ სახელმწიფოში, სადაც დემოკრატია ვითარდება, მედიისა და მითუმეტეს, ადგილობრივი მედიის არსებობა და პლურალიზმი, რომელიც მოჰყვება მედია სივრცეს, არის მნიშვნელოვანი. ჩვენი პოლიტიკური გუნდი არასდროს არ არიდებს თავს კრიტიკულ შეკითხვებს მედიის წარმომადგენლების მხრიდან და ეს წარმოადგენს რიგ შემთხვევებში მოქალაქეების გარკვეული ჯგუფების მოსაზრებას. ჩვენ ყველა ერთად შევთანხმდით, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოში დამოუკიდებელი მედიის არსებობა არის მნიშვნელოვანი. აქვე მინდა, ქალბატონ თამილა ღვინიანიძეს მივულოცო დაბადების დღე. ტელეკომპანია „რიონი“ ადგილობრივ დონეზე მნიშვნელოვან როლს ასრულებს. მე ვისურვებ, რომ ამ ტელეკომპანიას, ქალბატონ თამილასთან ერთად ჰქონდეს ბედნიერი წლები და ბევრი წარმატება. გამოვხატავ ღრმა პატივისცემას როგორც მის მიმართ, ასევე ტელეკომპანია „რიონის“ მიმართ.

აქვე აღვნიშნავ, აუდიტის დასკვნის თაობაზე. ამასთან დაკავშირებით მოსახლეობაში გაჩნდა ბევრი კითხვა, რაზეც ჩვენ აუცილებლად უნდა ვუპასუხოთ. ასევე, არა ერთი კითხვა ჰქონდათ მედიის წარმომადგენლებს, რომელიც ასევე ეხება ამ საკითხს. მოგეხსენებათ, რომ აპრილის თვეში, აუდიტის სამსახურმა ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმოუდგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2019-2020 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიში, რომელშიც ასახულია მიგნებები და გარკვეული რეკომენდაციები, რომლებიც ვფიქრობ, სასარგებლო იქნება მუნიციპალიტეტისა და მათ შორის, წარმომადგენლობითი რგოლის, საკრებულოს ინსტიტუციური და ფუნქციური გაძლიერებისათვის. სახელმწიფო აუდიტის სამსახური წარმოადგენს ძლიერ მაკონტროლებელ ინსტიტუტს და ჩვენ მაქსიმალური ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ მათ მიერ გამოქვეყნებულ დასკვნას. აღნიშნულ ანგარიშთან დაკავშირებით არსებობს კითხვები და კომენტარები, რომლებიც ადგილობრივ თვითმმართველობას გვაქვს, რომელსაც აღმასრულებელი რგოლი აუცილებლად წარუდგენს აუდიტის სამსახურს და ვფიქრობ, ერთობლივი კომუნიკაციით,

მაქსიმალურად მოხდება შეფასების დაზუსტება. აქვე მოგახსენებთ, რომ აღნიშნულ ანგარიშს გაეცნო ყველა დეპუტატი და თითოეულს აქვს სურვილი, დააფიქსიროს თავის მოსაზრება აღნიშნულთან დაკავშირებით. ჩვენ ვმუშაობთ აღმასრულებელ რგოლთან ერთად და მას შემდეგ რაც ის კითხვები და პოზიციები წარმოდგენილი იქნება ჩვენი მხრიდან აუდიტისა და სამთავრობო სტრუქტურების მიმართ, მოვახდენთ კონკრეტულ შეფასებებს და მიმართულებების განვითარებას. რაც შეეხება ქუთაისის საკრებულოს, რეკომენდაციებსა და აუდიტის დასკვნაში ასახულ პოზიციებზე ჩვენ აუდიტის დასკვნამდეც მოვახდინეთ რეაგირება. ეს ეხებოდა ადმინისტრაციული ხარჯების ეფექტურ მართვასა და კონტროლს, მათ შორის საწვავის ლიმიტებზე მნიშვნელოვან კონტროლს, რომელიც დაევალა აპარატის კონკრეტულ საჯარო მოხელეებს. ასევე, მუშავდება სოციალური მიმართულებით საკრებულოს თავმჯდომარისა და აღმასრულებელი რგოლის ბრძანება, რომელიც გაითვალისწინებს კონკრეტულ მიმართულებებს თუ რა შემთხვევაში უნდა გაიცეს საჯარო მოხელეებსა და პოლიტიკურ თანამდებობის პირებზე ფისკალური რესურსი, რომელიც განსაზღვრულია ბიუჯეტში ასახული სოციალური მუხლიდან. ჩვენ კონკრეტულ კომენტარებს წარმოვადგენთ მაშინ, როდესაც შევიმუშავებთ ჩვენ მოსაზრებებს, რომელიც გვექნება სახელმწიფო სტრუქტურებთან კოორდინაციით და შეთანხმებით აუდიტის სამსახურის მისამართით. ჩვენი ინსტიტუციური სიძლიერისათვის მნიშვნელოვანია აუდიტის სამსახურის დასკვნა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **ი.ხახალეიშვილი:** „პირველ რიგში მინდა, ქალბატონ თამარ ღვინიანიძეს მივულოცო დაბადების დღე და დიდი მადლობა გადავუხადო მას ამდენწლიანი ნაყოფიერი მუშაობისათვის. ის გახლავთ ჩვენი ქვეყნის ისტორიაში პირველი დამოუკიდებელი ტელევიზიის ხელმძღვანელი. რაც შეეხება აუდიტის დასკვნას, მე გუშინ მქონდა პირდაპირი ჩართვა სოციალურ ქსელ „faccebook“ - ის საშუალებით და გავეცი პასუხი დასმულ კითხვებს. ვეთანხმები ბატონ ირაკლის იმაში, რომ ჩვენ აუდიტის დასკვნა დაგვეხმარება, რომ უკეთ დავგეგმოთ და გამოვასწოროთ ის, რაც გამოსასწორებელია. ჩვენ უკვე გვაქვს კომუნიკაცია აუდიტის სამსახურთან და დღევანდელ პირობებში ჩვენი ხელისუფლებიდან გამომდინარე, გვაქვს

იმის საშუალება, რომ გვქონდეს კოორდინაცია და მათი დასკვნა არის იმპერატიული სახის და იმ შედეგებს, რომლებიც იყო მოცემული აუდიტის დასკვნაში ჩვენ აუცილებლად დავასაბუთებთ ჩვენი მხრიდან.“

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე მე-2 სხდომის დღის წესრიგის პროექტის შესახებ**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ 2022 წლის 15 აპრილის საკრებულოს ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით (**მცირეოდენი კორექტირება იქნა შეტანილი დღის წესრიგის პროექტის მე-7 საკითხის დასახელებაში შესაბამისი განკარგულების პროექტის სათაურის შესაბამისად და ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის წევრის, ამ კომისიის თავჯდომარის, ლევან სანიკიძისათვის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის წევრისა და ამ კომისიის თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ“),** ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე მე-2 სხდომის **დღის წესრიგის** შემდეგი პროექტი:

1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი ირაკლი შენგელია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

ქალბატონი მაგდა კოსტავა
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი,
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული
თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე

2. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის №359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ვალერიან სილაგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი

3. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის №57 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ვალერიან სილაგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი

4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო აღნაგობის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ვალერიან სილაგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი

5. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში 2021 – 2024 წლებში დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 იანვრის N347 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი კარლო კუხიანიძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ინფრასტრუქტურის განვითარების,
კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახურის ხელმძღვანელის
მოვალეობის შემსრულებელი

6. პირადი განცხადების საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ლევან სანიკიძისათვის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ცნობად მიღების შესახებ

ბატონი ირაკლი შენგელია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

ქალბატონი თეა ჯუღელი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

7. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის წევრის, ამ კომისიის თავჯდომარის, ლევან სანიკიძისათვის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის წევრისა და ამ კომისიის თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ

ბატონი ირაკლი შენგელია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

ქალბატონი თეა ჯუღელი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტის შესახებ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ საკრებულოს რიგგარეშე მე-2 სხდომის დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 18-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ლ.სანიკიძე, კ.გურული, გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ბ.ბრეგაძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე მე-2 სხდომის **დღის წესრიგი** დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, **ირაკლი შენგელიას** მიერ ზემოთ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის პირველი საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **დადგენილების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ, ქალბატონმა **მ.კოსტავამ.**

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „მინდა მადლობა გითხრათ ქალბატონო მაგდა, ვინაიდან გენდერული საბჭოს თავმჯდომარედ არჩევის დღიდან, თქვენ აქტიურად მონაწილეობთ საბჭოს ფორმირების

პროცესში. საკმაოდ დიდი იყო საზოგადოების, არასამთავრობო სექტორის მხრიდან დაინტერესება ამ საბჭოს მიმართ. გამომდინარე იქედან, რომ ჩვენ ძალიან ბევრი აპლიკანტი გვყავდა, მოგვიწია პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება იმასთან დაკავშირებით, რომ გაგვეზარდა წევრების რაოდენობა, ვინაიდან, საბჭოს ინსტიტუციური სიძლიერე გარკვეულწილად, განპირობებულია წევრების კვალიფიკაციაზე, დამოკიდებულებაზე, რომელიც ჩვენი საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანია და ამ მხრივ გადადგმული ნაბიჯი არის მექანიზმი, რომელიც ხელს უწყობს ქალების ეკონომიკურ, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ გაძლიერებას. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინ, ჩვენმა ხელისუფლებამ მიიღო საკმაოდ კარგი გადაწყვეტილება, მათ შორის, კვოტირების გზით, რომელიც არის ერთ - ერთი ხელოვნური მექანიზმი, რომელიც აძლიერებს ქალთა მონაწილეობას პოლიტიკურ პროცესებში. ჩვენ გვყავს საკრებულოს წევრი ქალბატონები, რომლების წარმოადგენენ ნამდვილად ღირსეულ მაგალითებს ბარიერების გადალახვის კუთხით, რომელიც არსებობს განვითარების გზაზე. მინდა კიდევ ერთხელ წარმატება ვუსურვო გენდერული თანასწორობის საბჭოს, რომლის გაძლიერებასაც წინა მოწვევის საკრებულოში საკმაოდ დიდი დრო დავუთმე. მადლობელი ვარ, რომ საშუალება მექნება ამ საბჭოში გავაგრძელო მუშაობა და ჩემი გამოცდილება გავუზიარო ქალბატონ მაგდას, რომელიც აბსოლუტურად ჩამოყალიბებულია იმ საკითხების მიმართ, რასაც გენდერული თანასწორობა ჰქვია და წარმოადგენს ერთ-ერთ ძლიერ მაგალითს, რომელიც ქალის წარმატებას ეხება. წარმატებები მაგდას და საბჭოს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე, ქალბატონი **მ.კოსტავა:** „პირველ რიგში, მინდა მადლობა ვუთხრა საკრებულოს თითოეულ წევრს, ასევე, არასამთვრობო თუ სამოქალაქო ორგანიზაციას, რომელმაც გამოხატა ინტერესი და შეავსო განაცხადი, რათა აქტიურად ჩაერთოს გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობაში. ასევე, მადლობა თქვენ, რომ განიხილეთ წევრთა რაოდენობის გაზრდის საკითხი და ვფიქრობ, რომ ეს წევრთა რაოდენობის გაზრდის ინტერესი წამოვიდა იმ არასამთავრობო და სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენლების მხრიდან,

რომლებიც უშუალოდ მუშაობენ იმ ადამიანებთან, რომლებსაც გააჩნიათ კონკრეტული საჭიროებები და აღნიშნული ცვლილებები მოგვცემს საშუალებას განვსაზღვროთ უკეთესი პოლიტიკა, შევიმუშაოთ უკეთესი გეგმები, რათა უფრო ბევრმა ადამიანმა ისარგებლოს იმ დადებითი აქტივობებით, რომელსაც განახორციელებს ეს საბჭო. დიდი მადლობა ბატონ ირაკლის გვერდით დგომისათვის, მხარდაჭერისათვის და გამოცდილების გაზიარებისათვის. იმედი მაქვს, საბჭოს ექნება წარმატებული საქმიანობა და ერთად ბევრ სასიკეთო საქმეს გავაკეთებთ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 18-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ლ.სანიკიძე, კ.გურული, გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ბ.ბრეგაძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის პირველ საკითხზე მიღებულ იქნეს **დადგენილება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის, **მ.კოსტავას** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **დადგენილება N20** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-2 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

2021 წლის 16 მარტის №359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა **ვ.სილაგაძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი განკარგულების პროექტის შესახებ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მე-2 საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 18-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ლ.სანიკიძე, კ.გურული, გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ბ.ბრეგაძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მე-2 საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელის, **ვ. სილაგაძის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის №359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **განკარგულება N64** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-3 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის №57 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა **ვ.სილაგაძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი განკარგულების პროექტის შესახებ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მე-3 საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 18-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ლ.სანიკიძე, კ.გურული, გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ბ.ბრეგაძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მე-3 საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელის, **ვ. სილაგაძის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის №57 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **განკარგულება N65** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-4 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო აღნაგობის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, 2022 წლის 15 აპრილის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით, ცვლილებით **(განკარგულების პროექტის პრეამბულაში ჩაემატა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის წერილობითი მომართვის თარიღი და ნომერი: „2022 წლის 12 აპრილი, N44-4422102492“)**, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა **ვ.სილაგაძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ეს:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ეს საკითხი ეხება საბავშვო ბაღის მშენებლობას და გუშინ, ბატონმა იოსებმა დააანონსა კიდეც. ეს მნიშვნელოვანი პროექტია ავტომშენებლის დასახლებისათვის და იქ მაცხოვრებლებისათვის. მე მინდა, მადლობა გადავუხადო მუნიციპალური განვითარების ფონდს აბსოლუტურად სრული ჩართულობისათვის. მე ვფიქრობ, რომ ფონდი თავის

საქმიანობით არის ერთ-ერთი სამაგალითო, რეგიონების განვითარების პროცესში. მათ შორის, ისეთი სახის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაში, რომლებიც ეხება ჩვენი შვილებისა და პატარა თაობების მომავალს. მადლობა კიდევ ერთხელ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მე-4 საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 18-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ლ.სანიკიძე, კ.გურული, გ.კილაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ლ.შალამბერიძე, რ.ქვაჩაკიძე, ნ.ჩიკვაშვილი, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ბ.ბრეგაძე, ა.კოხრეიძე, გ.შუშანია, ხ.არველაძე, ქ.ხურციძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მე-4 საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელის, **ვ. სილაგაძის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის15 აპრილის **N66 განკარგულების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო აღნაგობის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ **განკარგულება N66** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-5 საკითხის - **„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში 2021 – 2024 წლებში დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადებების მოწონების**

შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 იანვრის N347 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, 2022 წლის 15 აპრილის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით, ცვლილებით **(განკარგულების პროექტის სათაურსა და პირველ მუხლში გასწორდა მითითებული განკარგულების ნომერი და თარიღი, კერძოდ, 2021 წლის 10 დეკემბრის N31 განკარგულების ნაცვლად, ჩაიწერა 2021 წლის 27 იანვრის N347 განკარგულება),** წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა **კ.კუხიანიძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი განკარგულების პროექტის შესახებ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მე-5 საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 18-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ლ.სანიკიძე, კ.გურული, გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ბ.ბრეგაძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მე-5 საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის, **კ.კუხიანიძის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 15 აპრილის **N 67 განკარგულების** პროექტში.

(„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში 2021 – 2024 წლებში დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 იანვრის N347 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე **განკარგულება N67** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-6 საკითხის - **„პირადი განცხადების საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ლევან სანიკიძისათვის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ცნობად მიღების შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, 2022 წლის 15 აპრილის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(განკარგულების პროექტის პრეამბულაში ჩაემატა საკრებულოს წევრის, ლ.სანიკიძის განცხადების თარიღი)**, ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **თ.ჯუღელმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი განკარგულების პროექტის შესახებ, მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მე-6 საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 18-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ლ.სანიკიძე, კ.გურული, გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე,

ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ბ.ბრეგაძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მე-6 საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, თეა ჯუღელის მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 15 აპრილის **N 68 განკარგულების** პროექტში.

(„პირადი განცხადების საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ლევან სანიკიძისათვის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ცნობად მიღების შესახებ“ **განკარგულება N68** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-7 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის წევრის, ამ კომისიის თავჯდომარის, ლევან სანიკიძისათვის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის წევრისა და ამ კომისიის თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, 2022 წლის 15 აპრილის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით, ცვლილებით **(განკარგულების პროექტის პრეამბულაში ჩაემატა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის წევრის, ამ კომისიის თავჯდომარის, ლ.სანიკიძის განცხადების თარიღი),** წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **თ.ჯუღელმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მე-7 საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 18-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ლ.სანიკიძე, კ.გურული, გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ბ.ბრეგაძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მე-7 საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, **თ.ჯუღელის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილებით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის წევრის, ამ კომისიის თავჯდომარის, ლევან სანიკიძისათვის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის წევრისა და ამ კომისიის თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ“ **განკარგულება N69** ოქმს თან ერთვის)

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 15 აპრილის **N 69 განკარგულების** პროექტში.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „მინდა, წარმატებები ვუსურვო ბატონ ლევანს. ის მეტად მნიშვნელოვან კომისიას ხელმძღვანელობდა საკრებულოში. მისი მოღვაწეობა იმ მცირე პერიოდში საკმაოდ კარგად აისახა წარმომადგენლობითი რგოლისა და კომისიის ფუნქციონირებაზე და მისი ხელმძღვანელობით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები იქნა მიღებული. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო მას.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე მე-2 სხდომის დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის დამთავრებისა და მათთან დაკავშირებით, შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების დასრულების გამო, საკრებულოს რიგგარეშე მე-2 სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე მე-2 სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე Irakli Shengelia Digitally signed by Irakli Shengelia DN: cn=Irakli Shengelia, serialNumber=PNOGE-60001013166, givenName=Irakli, sn=Shengelia, o=Citizen, c=GE Date: 2023.06.22 11:45:50 +04'00' ირაკლი შენგელია

ოქმი შედგენილია საკრებულოს აპარატის მეორადი
სტრუქტურული ერთეულის - სამდივნო განყოფილების
მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის, ნ.გუგავასა და
ამ განყოფილების უფროსის, ც.პატარიძის მიერ.